საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 177

2018 წ. „30“ 11

ქ. თბილისი

სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სპეციალური განათლების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ

დაწესებულების მიერ თვითშეფასების ანგარიშში ასახული ინფორმაციის, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, ,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-3 და მე-3[1] პუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27[5] მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და ამავე მუხლის მე-7 პუნქტის, 27[6] მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის“, ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სპეციალური განათლების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.
2. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2018 წლის 15 ოქტომბრიდან.
3. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2018 წლის 30 ნოემბრის №55 სხდომის ოქმის მესამე ნაწილი და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
4. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება კანონით დადგენილი წესით შესაძლებელია მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. №1, ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

თავმჯდომარე
ელიზბარ ელიზბარაშვილი

მდივანი
ნათელა სახოკია